ლიტერატურული ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის" დამატება
№6, 10 ივლისი, ორშაბათი, 2023 წელი

ქეთი ლექსი

მითხარ, სურამო...

მაღლობიაო –
ასე მითხრეს
სურამელებმა,
სადაც ლესიამ
დასვენება მოისურვაო.
იყოს მაღლობი,
დაღლილობა
სულ არ მერევა,
ჰოი, სურამო!
ეს ნაძვის სუნი
ყველა სუნზე
უტკბილესია,
ფილტვებს უხარის,
ჰაერს უხარის...
აქ, თუნდაც ერთხელ,
თუ წამოგცდა,
თუ თქვი – ლესია,
შრიალს დაიწყებს
ეს ნაძვნარი
და ეს მუხნარი.
უთქვამთ, სურამში
მზე არასდროს
არ ჩასულაო,
სწორედ, აქ უნდა
დაისვენოს
კაცმა ნებისად.
მითხარ, სურამო,
ეს, ლესიას
დარჩა სუნამო,
თუ მარტოოდენ
სურნელია
ნაძვნარებისა?!

ჯემალ ინჯია

შეხვედრა მწერალთან

ფიქრში გამთლიანებული საქართველო

2023 წლის 30 მაისს, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების მოწვევით, ხაშურს შემოქმედი ადამიანები სტუმრობდნენ: სამაჩაბლოს მიწა-წყლის შვილი, მწერალი – ქალბატონი ზეინაბ მეტრეველი, აფხაზეთის პირმშო, მწერალი გურამ ოდიშარია და ცხინვალში დაბადებული და გაზრდილი, კავკასიის საერთაშორისო

უნივერსიტეტის პროფესორი, მკვლევარი ნინო მინდიაშვილი. სიმბოლური იყო, რომ შეხვედრა ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში გაიმართა. რუსიფიკატორული რეჟიმის მსხვერპლი, საქართველოს დიდი ქომაგი, დიმიტრი ყიფიანი მასპინძლობდა რუსული პოლიტიკის მიზეზით დევნილებად ქცეულ ჩვენს სასიქადულო მწერლებს, რომლებსაც თანამშრომლის სტატუსით მიეგება ცხინვალიდან დევნილი პოეტი და მუსიკოსი შოთა დარბუაშვილი.

ღონისძიებას, კიდევ ერთი, სამაჩაბლოს მიწა-წყლით ნასაზრდოები დევნილი შემოქმედი, ჩვენი თანაქალაქელი, პოეტი და ჟურნალისტი მზეგული ტყეშელაშვილი ესწრებოდა.

2015 წელს ქართული წიგნის თაროზე გამოჩნდა და დიდი ინტერესიც გამოიწვია ზეინაბ მეტრეველის ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრაგიზმით ინსპირირებულმა რომანმა „საყდრის ჩიტები“, რომელშიც ავტორი მხატვრული ხერხებით აღწერს, თუ როგორ გადაიქცა სამაჩაბლო „სამხრეთ ალანების სახელმწიფოდ“, როგორ მიითვისეს მის საზღვრებში მოქცეული ძირძველი ქართული სოფლები ერთ დროს ძმად წოდებულმა ერებმა. „საყდრის ჩიტების“ გაცნობის შემდეგ გოდერძი ჩოხელს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია:

„საყდრის ჩიტები“ ერთგვარ ლოცვას ჰგავს, სადაც „მლოცველი თვითონ ავტორია, რომანი კი – ღმერთის იმედით სავსე და განწმენდილი“.

ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ ისევ ოკუპირებულ სოფელშია დარჩენილი, ამბობს:

„შენ ამ ყოფას გადარჩენას უწოდებ? დავრჩი საკუთარი თავის მესაფლავედ და კიდევ – იმ იმედების მომლოდინედ, რომელსაც აქ ოდესმე უკანდაბრუნებულნი მოიტანენ. შემდეგ აფხაზეთი, შემდეგ – შიმშილი, სამოქალაქო ომი და... ეჰ, ხალხი რომ ერთმანეთს დაერევა, ასეთ დროს სამშობლოს მოძებნა და ცნობა გაგიჭირდება კაცს, ძმა ძმას რომ ესვრის, სამშობლო იმ ტყვიით კვდება“. – ამ სიტყვების წარმოთქმის მიზეზმა ასგზის დაგვაფიქრა ჩვენ, უფროსი თაობის წარმომადგენლები. ვხედავთ, ჯერი მომავალ თაობაზეა...

ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქვიშხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგების – იამზე მურმანიშვილისა და ნაილი მდინარიძის ჩართულობით. ახალგაზრდებს უამრავი მასალა მოეძიებინათ მოწვეულ ავტორთა შემოქმედების შესახებ და კარგად ჰქონდათ გაანალიზებული დაკარგული ტერიტორიების პრობლემა, ფსიქოლოგიური სიღრმე იკითხებოდა მათ მიერ დასმულ კითხვებში.

მოსწავლეები მონაცვლეობით კითხულობდნენ ზეინაბ მეტრეველის ლექსებს, რომელიც „საყდრის ჩიტების“ მსგავსად, მაღალფილოსოფიური აზროვნებით და მადლიანი ქართლური დიალექტით გამოირჩევა.

ასეთივე თემატიკის მატარებელია გურამ ოდიშარიას შემოქმედებაც. როცა 1993 წელს, სოხუმის დაცემის შემდეგ, აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჭუბერის უღელტეხილის გზას დაადგა, გურამ ოდიშარიაც მათ შორის იყო. ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა იმ „გოლგოთის გზამ“, რომელსაც იგი სასწაულებრივად გადაურჩა.

სოხუმში ცხოვრების პერიოდში, გურამ ოდიშარია სხვადასხვა დროს მუშაობდა სოხუმის რადიო-მაუწყებლობის კორესპონდენტად, აფხაზეთის საოლქო გაზეთის კორესპონდენტად, აფხაზეთის მწერალთა კავშირის ლიტერატურულ კონსულტანტად, ჟურნალ “რიწის” მთავარ რედაქტორად, გამომცემლობა “მერანის” აფხაზეთის ფილიალის დირექტორად.

შეუძლებელია ისაუბრო აფხაზეთის ომზე და გვერდი აუარო გურამ ოდიშარიას, როგორც მწერალს და როგორც პიროვნებას. მის შემოქმედებაში, რომელიც ათ პოეტურ კრებულსა და ხუთ რომანს მოიცავს, სიღრმისეულად არის წარმოჩენილი საზოგადოებრივი ტრავმა, სტრესი, ქართულ-რუსული პოსტკოლონიური ურთიერთობები და ამ ფონზე წამოჭრილი შიდაეთნიკური (კერძოდ, ქართულ-აფხაზური) კონფლიქტი.

გურამ ოდიშარიას შემოქმედება სწორედ, იმ ხიდის ფუნქციას ასრულებს, რომელსაც ქართველთა და აფხაზთა შერიგების მისია აკისრია; მას ერთნაირი ინტერესით კითხულობს ქართველიც და აფხაზიც. ნაწარმოებებში დასმული პრობლემური კითხვები ითხოვს პასუხს, ანალიზს. ომის გამომწვევი მიზეზების, შედეგებზე პასუხისმგებლობისა და ერთმანეთთან დასაბრუნებელი გზების ძიებისადმი ობიექტური მიდგომა შესაძლებელს ხდის, გაიხსნას კარი, რომელიც „მესამე ძალამ“ ჩაკეტა.

სამაჩაბლო და აფხაზეთი – ეს ის ჭრილობაა, რომელსაც გამაყუჩებელი აბები კი არა, ძირფესვიანი, სათანადო მკურნალობა სჭირდება, თანაც, დროული. მეტადრე მაშინ, როცა გრძნობ, რომ დრო, როგორც კარგი ანესთეზიოლოგი, ისე „მუშაობს“.

სწორედ, ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, ახალგაზრდა თაობა ხშირად შეხვდეს საქართველოს ბოლო ათწლეულების ხვედრით ტრავმირებულ ადამიანებს...

ის, რაც უფროსმა თაობამ დღემდე ვერ შეძლო,მათ უნდა იტვირთონ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ მწერლებთან ახალგაზრდების შეხვედრა მეტად მნიშვნელოვანი იყო მათი ცნობიერებისა და მამულიშვილური გრძნობის ამაღლების თვალსაზრისითაც.

საინტერესო იყო ავტორთა საუბარი წარსულზე, აწმყო-მომავალზე. მოწოდება ახალგაზრდობისადმი, – ყოველთვის ახსოვდეთ, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი საშველად გვიხმობს...

პროფესორმა ნინო მინდიაშვილმა, როგორც მკვლევარმა, ქართულ-ოსური ურთიერთობების მსხვრევის მიზეზ-შედეგებზე და ამ ტრამვების ლიტერატურაში ასახვის შესახებ ისაუბრა.

შესაძლოა, ვერც მკითხველმა და ვერც მსმენელმა ავტორისეული ტკივილი ბოლომდე ვერ გაითავისოს, მაგრამ ეპოქისა და ადამიანის ფსიქიკის დამანგრეველ პერიოდზე რომ დააფიქრებს, ნამდვილად, მჯერა.

ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და სიმღერა: „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“ „სამაჩაბლოს გადავიხდი ქორწილს“ და სხვანი...

ღონისძიება, მთელი თავისი დატვირთვით, ჰგავდა ლოცვას და სურვილს: არასოდეს დაგვიწყებოდა სამაჩაბლო და აფხაზეთი!

შეხვედრის ბოლოს მასპინძელმა ორგანიზაციამ სტუმრებს სპეციალურად მათთვის დამზადებული, შესაბამისი თემატიკის ამსახველი საჩუქრები გადასცა.

როგორც ყოველთვის, ამ დღის ბოლოსაც, ნოდარ დუმბაძის სიტყვები ამეკვიატა:

„ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არ არის, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონონ... და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოგასწროს ამ ტაძართან”.

ზეინაბ მეტრეველმა და გურამ ოდიშარიამ გულიდან ვერ მოიწყვიტეს მამულზე ფიქრი და მის საკურთხეველთან სიმშვიდე დადეს შესაწირად...

კლარა გელაშვილი – პოეტი,
ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი

ლექსო, ამოგთქომ...



შალვა ჩინჩალაძე ბროლოსნის საჯარო სკოლის დარაჯი გახლავთ და, არც მეტი, არც ნაკლები, თავის სათქმელს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა თუ გულისტკივილს შეუნიღბავი უბრალოებით ლექსებად გადმოსცემს.

74 წლის გამრჯე, გონებამახვილ შალვა პაპას საქართველო და მშობლიური ხაშური გამორჩეულად უყვარს.

დღეგრძელობას და მხნეობას ვუსურვებთ ბატონ შალვას და მისი სამშობლოს მალე გაბრწყინებას.

ხაშურს

არ დაიღალო, კალამო,
სიმართლის იყავ მსახური,
ჩვენ კი, მუდამდღე გვიყვარდეს
ჩვენი მშობელი ხაშური, –
სადაც რომ ხალხის ნაკადი
არ წყდება, ჩვენო ქალაქო,
ყველა გზის დერეფანი ხარ,
შენით ამიტომ ვამაყობთ!

აკაკი წერეთელს

დიდ იუბილეს გილოცავთ,
ჩვენო მგოსანო, აკაკი,
მსურს, დაწვრილებით გადმოგცე
ჩვენი სამშობლოს ავ-კარგი.
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი
თითქმის მთლიანად სხვისია,
ზოგს რომ გროშებად მიყიდეს,
ბევრსაც მიართვეს ნისიად.
მრცხვენია, ამას რომ გიწერ –
მოკრძალებული ავტორი,
რა გვეშველება ქართველ ხალხს?!
ვინ გვეყოლება პატრონი?!

დაცლილი საქართველო

ცაზე ჩამოწვა შავი ღრუბელი,
სოფლებში ჩაქრა ცხელი ღუმელი,
გამოიკეტა ირგვლივ სახლები,
ცხოვრება გახდა თავში სახლელი!
მიდიან, მაგრამ მათ რა იციან,
უცხო მიწაზე როგორ იწვიან!
ვერ დაიდებენ იქ მყუდრო ბინას,
გაითენებენ უმზეო დილას...
აქ მოსავალი გლეხებს ულპება,
ხალხის სალარო კი იქურდება!..
და იღუპება ერი და ბერი,
ვერც ღმერთი გვშველის,
ველარცა – მღვდელი!

პოეზია

მანანა ხრიკაძე

ოდა ხაშურს

ცისკრის ხომლებს გაიყოლებს მტკვარი,
ქედზე სხივთა გაჩაღდება ლელო,
ქუჩაბანდებს ჩამოურბენს ქარი,
ირიჟრაჟებს შენთვის, საყვარელო.
არსად არის შენი მოლის ფერზე
საამო და მზის სადიადემო,
კავკასიის მთიანეთის მკერდზე
ნებიერად შეფენილო, ჩემო.
აარიდე ვარამი და თალხი,
მოწყალებით გევედრები, ერთო,
მისი ცა და მისი სათნო ხალხი
შენი კალთით დაიფარე, ღმერთო.
ხაშურია ასე, მხნე და ლაღი,
ხაშურია ასე, სასახელო.

მფარველ ანგელოზს

ვაიმე, ჩემო ანგელოზო, როგორა გცივა...
ვაიმე, ჩემო ანგელოზო, როგორა გტკივა...
ვინ გაგიმეტა, ვინ დაგაგდო
ჩემი უსვეო ყოფის ხელცეცება ლაბირინთებში ჩემად მეოხად...
შენ დაიქანცე ქიმერებთან სასტიკ ომებში,
შენ დაიხლართე ავით ნაქსელ ფანდთა წვდომებში
და აღარ იცი, ვით უძალო, ეწიო საშველს,
რომ მიქომაგო, როგორც შვენის ჭეშმარიტ მფარველს.
ხოლო მე, უკვე ხელჩაქნეულს, ნებით გუებულს,
რა რიგადა მსურს, დამაშვრალი, მკერდზე მიგიყრდნო,
რომ ჩემი მწირი შემწეობით, უკეთური ერთად ვირიდოთ.
და აი, ჩემო, გვემისაგან სისხლდადენილო, განცდით რჩენილო,
ნარბევს და ნაბრძოლს სიმწუხარის ცრემლები გცვივა,
როგორა გტკივა, ჩემო საბრალო ანგელოზო, როგორა გცივა...

ჩემს ზოდიაქოს, მშვილდოსანს

მობურულ ცაზე ქადილით ელავს,
ზესთა ზის ფიცით დანაბარები
და ნაქარიშხლარ, ახოვან მხრებზე
აბჯრებს ირგებენ ცხენ-ფაფარები...
და გაკუშტებულ კაბადონებზე
ფლოქვთა გრიალი ქუხს დაუნჯებით,
ფარულ განზრახვას დახარბებულნი,
ფრთებს გამართავენ ისართ ბლუჯები!..
და მოთქარუნე კენტავრთა რემა
ღრუბელს გაკვეთავს, როგორც ბრმა ტყვია
და მშვილდოსნების ნაიარევი
ნაომარ ზეცას ელდად ატყვია.

* * *

თმენის სამანი აშლია ლოდინს,
წვიმათა ბორგვას ხალისი მიაქვს,
აგორებულა სურვილის ლოდი,
იხსენებს ზეცას, ცხრათვალას, მზიანს...
შემოდგომა კი, მოდის და მოდის,
ღიმილით უმზერს ფოთოლთა ტრიალს,
მზე დაბრუნდება როდის და როდის? –
პეშვით დამაყრის სხივების ბრიალს.

***

შენთან როგორ არის, სულო, შენთან,
შენთან რამე ხდება, ნეტავ?
მე შენკენ ვმდორეობ, შენ კი გამირბიხარ,
ვიცი, გულში სარკმელს კეტავ.
ტალღა როგორ შფოთავს, თოლია რას კივის,
ჩიტები რას სტვენენ ერთად?
ჩემი სიყვარული, ასე, დაქანცული,
როგორ მოვაწვდინო შენთან...
აი, გაზაფხულმაც მაინც თავისი ქნა,
მაინც მოვისწრაფვი შენთან,
ასე, უსაშველოდ, რატომ მენატრები,
ღმერთო, როგორ მტკივა მკერდთან.

***

თავდაუზოგავი, მყისი გააფთრებით,
სამყაროს ბჭის კარი მე გაგაღებინე,
მერე, ვარაყიან, მოოჭვილ ქარქაშში
ელვა-სატევარი არ ჩაგაგებინე!..
ცამდე აზიდული ბზიალა კოშკები
ასე, აგურ-აგურ, მძლედ აგაგებინე,
მერე, ჭრელა-ჭრულა ნოხ-ფიანდაზები
სავალ-საგოგმანოდ ძირს დაგაგებინე.
ცხოვრების ტკბილ-მწარეს ისე გაზიარე,
სიცოცხლის მისხალი არ წაგაგებინე,
ამდენი ვიტანჯე, ამდენი ვცადე და...
მიყვარხარ-მეთქი, ვერ გაგაგებინე.

* * *

... და, თუ გალიგვულ, ლოდად ქცეულ, ცხედარ სხეულზე
მარწუხებით ამაგლიჯავთ სულს ნატუსაღარს,
მე გამოგყვებით...
გამოგყვებით ხელებაწვდილ-გამოგლოვილი,
იდუმალი, ლივლივა რხევით,
ვით უნაზესი, გამჭვირვალე რბილი ქსოვილი.
წამოვალ, რათა იმ კოსმიურ სხივთა ციალზე
ნარნარად კრთოდეს ჩემი სული, ცად ამოსული,
ვით მარსიასის ნატანჯი კანი ფლეიტის ხმაზე.
დაე, წყარო, წყარო ღვთიური ენერგიის,
უთბილესი და უამესი ცის ათინათი,
ვით ცისარტყელა, გარდამავალ, ნაზი ფერებით,
გამაბრუებელ სალბუნში მხვევდეს ხმით, მოფერებით,
მაგიური თრიაქით მქისე ,,იავნანათი“...
და ქნას წყალობა, რომ სამუდამოდ დამიმშვიდოს
მარტვილი და მტეხარი ლმობა,
რათა არ მისცეს გასაქანი დაუოკებელ,
მბორგავ ხვაშიადს, – ძნელსა და დიადს,
და თქვენც, მორჭმულნო, ცნობისმოყვარე, მომლოდინე,
მშფოთი ფეხებით, უსასრულობის უფსკრულში ნაგდებ,
ჩემს ზღაპრულ ჭურჭელს,
გთხოვთ, დასამსხვრევად ნუ შეეხებით...

რედაქტორი ეკატერინე ბაქრაძე